



ოქმი:ო37.37203562

თარიღი:21/12/2020

ოქმი №18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მორიგი სხდომის

2020 წელი, 16 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები : შ.გოგიბერიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, მ.გოგოტიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, დ.მდინარაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ჩხაიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის

პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს წევრებს განუცხადა, რომ იმართება საკრებულოს პირველი სხდომა ონლაინ რეჟიმში.

დღის წესრიგი

60.1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტის პირველი

ვარიანტი განხილული იქნა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში, გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს მათი გათვალისწინებისა და ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტის წარმოდგენისათვის.

ამჟამად საკრებულოში შემოსულია ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია, კვლავ მოხდება მისი განხილვა კომისიებსა და ფრაქციებში, დაიწყება მასზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და მიმდინარე თვის ბოლოს დამტკიცდება ბიუჯეტი. შემდეგ სიტყვა გადასცა თანამომხსენებელს პ.ჭყონიას, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, დაფინანსებული პროგრამები. განხილვა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში-საკრებულოს წევრმა დ.ჭაკნელიძემ დასვა შეკითხვა-საბავშვო ბაღებში კონკრეტულად ვის გაეზრდება შრომითი გასამრჯელო? -განუმარტეს, რომ ყველას გარდა ცენტრის თანამშრომლებისა. საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ იკითხა-სახელმწიფო თეატრს კვლავ გამოეყოფა თუ არა თანხა? -განუმარტეს, რომ დაფინანსდება 50-ათასი ლარით. საკრებულოს წევრმა მ.ზოიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება ბიუჯეტში თუ გაითვალისწინებენ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარებას, განუმარტეს, რომ შემოსავლები არ იძლევა ამის საშუალებას, გამონაკლის შემთხვევებში გამონახება თანხები.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ დასვა შეკითხვა-ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტს ახლავს თუ არა შენიშვნების გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის თაობაზე დასაბუთებული ინფორმაცია. უპასუხეს რომ არა. ლ.ბიგვაგამ აზრით ამ დოკუმენტის გარეშე საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში ვერ მოხდება მისი განხილვა. სთხოვა შესაბამის სამსახურს სასწრაფოდ წარმოადგინოს იგი. საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ეთანხმება ლ.ბიგვაგამს აზრს, დაამატა, რომ პროექტში არაა გათვალისწინებული შენიშვნა გენდერული თანასწორობის საბჭოს დაფინანსების, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების დახმარების თაობაზე. ამ ფაქტზე ისაუბრა საკრებულოს წევრმა ხ.ცერცვაძემაც, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერის კეთილი ნებით დაეხმარნენ ასეთ ახალგაზრდებს, უმჯობესი იქნება თუ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ამ მიზნით თანხა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ეთანხმება ლ.ბიგვაგამს შენიშვნას, მერიამ არა უგვიანეს ორ დღეში უნდა წარმოადგინოს შენიშვნების თაობაზე ინფორმაცია.

საკრებულოს წევრმა დ.მდინარაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით კვლევების ჩატარებისათვის ბიუჯეტში გაითვალისწინებენ თანხას.

61.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31-ხმით

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განიხილეს ონლაინ რეჟიმში შემოსული განცხადებები: გაზეთ „ალიონის“ რედაქტორის ნ.ასათიანის- ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე ალუმინის ქარხნის მშენებლობის თაობაზე, რომელშიც ითხოვდა საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებს ლ.ბიგვაგას და გ.კილაძეს, ასვე ფრაქციის თავმჯდომარეს ლ.მგელაძეს გამოეხატათ თავიანთი პოზიცია ამ საკითხზე. მათი და საკრებულოს წევრების საერთო აზრით ქარხანა უნდა აშენდეს კანონმდებლობის სრული დაცვით, გარემოზე ზემოქმედების შემთხვევაში საკრებულო კატეგორიული წინააღმდეგი იქნება მშენებლობის და მიმართავს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამავე საკითხზე მოსაზრება გამოთქვეს საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ, ლ.ბიგვაგამ, საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ი.გორდელაძემ.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

